

სილნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრის, საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნანა ნანობაშვილის ანგარიში 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წ 12 ოქტომბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით, მინდა წარმოგიდგინოთ, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის ოქტომბრამდე შესრულებული საქმიანობის ანგარიში. პატივი მაქვს, უკვე მეორე მოწვევით წარმოვადგენდე „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ და ვიყო სილნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი, ვიმუშაო მუნიციპალიტეტში, სადაც დავიბადე, გავიზარდე და შევიტანო წვლილი მისი განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

როგორც მოგეხსენებათ, საკრებულო თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელსაც თვითმმართველობის განხორციელების პროცესში წამყვანი როლი ეკისრება. საკრებულო არის თვითმმართველობის უმთავრესი ინსტიტუცია და პოლიტიკური ხასიათის ორგანო, რომლის არჩევით მოსახლეობა გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას თვითმმართველ ერთეულში არსებული პრობლემების გადაჭრისა და შესაძლებლობების რეალიზების გზებისადმი.

სილნაღის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2021 წლის 3 დეკემბრიდან. ამ პერიოდიდან ვარ საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე. ჩემი საქმიანობისას ვხელმძღვანელობ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა ნორმატიული აქტებით. შესაბამისად, საქმიანობას წარვმართავ იმ უფლებამოსილებათა ფარგლებში, რასაც ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. სწორედ ეს განაპირობებს ჩემს მუშაობას, რომლის მთავარი მიმართულებაა ადგილობრივ დონეზე მოსახლეობისა და საკრებულოს ინტერესების გათვალისწინება და მიღებული ნდობის შენარჩუნება.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საკრებულოს 14 სხდომა ვესწრებოდი 13-ს, ჩატარდა ფრაქციის „ქართული ოცნება“ - 12 სხდომა, ვესწრებოდი -11-ს, აქტიურად ვიყავი ჩართული საკითხების განხილვაში. საკრებულოს სხდომებზე ჩემ მიერ მხარდაჭერილ იქნა როგორც საკრებულოს სამუშაო გეგმით განსაზღვრული, ასევე მუნიციპალიტეტის წინაშე დღის წესრიგში დასმული მიმდინარე საკითხები.

დავიწყებ კომისიის ანგარიშით. კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია მის სფეროს

მიკუთვნებული საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების , გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს , მერიის სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით.

კომისიის შემადგენლობა განსაზღვრულია 9 წევრით. ჩემი ხელმძღვანელობით ჩატარდა კომისიის 8 სხდომა

კომისიის კომპეტენციის ფარგლებში განხილულ იქნა შემდეგი საკითხები :

1. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის ხათუნა აღამონაშვილის 2022 წლის გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;
2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირების რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 იანვრის N2 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.
3. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
4. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ;
5. სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა ჯილდოს შემოღების და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ;
6. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2023-2024წ.წ. სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
7. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პ. სკოლისგარეშე დაწესებულება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დირექტორის ნელი დალაქიშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

8. სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების წესის დადგენის შესახებ.

9. სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორის თენგიზ მოსულიშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

10. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამა და მისი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 აპრილის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

11. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის მურად ვაშაკიძის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

12. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრის“ დირექტორის ნათელა ნადიკაშვილის 2022 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

13. სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსის ლია ბაკაშვილის 2023 წლის ექვს თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ;

14. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების“ დირექტორის თინათინ ბეგიაშვილის 2022-2023 სააღმზრდელო წლის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

15. ა(ა).ი.პ. „სიღნაღის მუნიციპალიტეტის სამუსიკო (სახელოვნებო) სკოლების გაერთიანების“ დირექტორის ლალი ფოლადაშვილის 2022-2023 სასწავლო წელს გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ.

არც ერთი საკითხი , რომელის განხილვაც საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საკითხთა და სოციალურ საკითხთა კომისიას ეხებოდა, არ დაგვიტოვებია განსაკუთრებული ყურადღების გარეშე. ჩვენ მოვიწვიეთ ყველა სამსახურის ხელმძღვანელი და მოვითხოვეთ განემარტა კომისიისთვის ყველა ის პროექტი, რომლის განხორციელებასაც მუნიციპალიტეტის თანხებით გეგმავდა. ვფიქრობთ, ჩვენმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ბიუჯეტში მაქსიმალურად იყო წარმოდგენილი ყველა ის საშუალება, რაც მუნიციპალიტეტს ამ ეტაპზე გააჩნდა.

კომისია მუშაობს სიღნაღის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სპორტსმენტთა და მწვრთნელთა წახალისების, სპორტის სხვადასხვა სახეობის

პოპულარიზაციის, კულტურის, განათლების, ახალგაზრდული საკითხების, სამოქალაქო აქტივიზმის ხელშეწყობისა და ტრადიციების შენარჩუნებისათვის.

ამ რამდენიმე თვეში, ბევრ კარგ და საჭირო ინიციატივას შეესხა ხორცი. ახალგაზრდებისთვის განათლების მიმართულებით ქმედითი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, სიღნაღში შეიქმნა დებატების კლუბი, ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ როგორც ახალგაზრდებში, ასევე ზრდასრულებში გამართული და დასაბუთებული მსჯელობისთვის საჭირო ცოდნისა და უნარების განვითარებას, ასევე, ჩატარდა მხიარულთა და საზრიანთა სასკოლო ჩემპიონატი, რომელშიც მუნიციპალიტეტის 13 საჯარო სკოლის გუნდი იღებდა მონაწილეობას, ფინალი ჩატარდება მიმდინარე წლის ნოემბრის პირველ ნახევარში.

ინტელექტუალური თამაში „რა?, სად? როდის?“, რომელშიც ჩართული იყო 14 საჯარო სკოლის გუნდი, საგაზაფხულო სერია შედგებოდა ხუთი თამაშისგან, ფინალური შეხვედრა გაიმართა 30 ივნისს. გაიმარჯვა ტიბაანის საჯარო სკოლის გუნდმა „White Tigers““. ამ ეტაპზე, ინტელექტუალური თამაშის საშემოდგომო სერია მიმდინარეობს.

3 ივნისიდან 10 ივნისის ჩათვლით სიღნაღის მუნიციპალიტეტმა, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სიღნაღის მუნიციპალიტეტის და მაჟორიტარი დეპუტატის, დავით სონღულაშვილის ინიციატივით დაფუძვნებულ „სიღნაღის თეატრალურ ფესტივალს“ პირველად უმასპინძლა, მასში მონაწილეობა მიიღო სახალხო მომსახურებელი თეატრალურმა დასებმა.

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტი ქვეყნის მასშტაბით „ძლიერი რეგიონების კულტურული განვითარების“ ფარგლებში უკვე ორი წელია სამუშაო ონლაინ შეხვედრებს მართავს საქართველოს მუნიციპალიტეტებთან. აღნიშნულ ფორმატში თანამშრომლობის შედეგად, კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის, ელისო ბოლქვაძის ინიციატივით, ბათუმის შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო, მეათე, საიუბილეო ფესტივალის ფარგლებში გაიმართა გალა კონცერტი, სადაც მონაწილეობა მიიღო თერთმეტმა მუნიციპალიტეტმა, მათ შორის იყო სიღნაღი. კონცერტზე მუსიკის ჰანგები საქართველოს კუთხეებიდან სიღნაღის მუნიციპალიტეტი პროფესიული ანსამბლი „ლაშქრული“სა და ანსამბლი „მრავალჟამიერის“ მონაწილეობით წარსდგა, მონაწილეები შავი ზღვის ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე სიგელებით დაჯილდოვდნენ.

ჩემს საქმიანობაში განსაკუთრებული როლი ეკისრება მაჟორიტარი საკრებულოს წევრის საქმიანობას. მინდა ავღნიშნო, რომ რეალურად ვფლობ სოფელში არსებულ პრობლემების შესახებ ინფორმაციას, აქტიურად ვარ ჩართული ამ პრობლემების გადაჭრის საშუალებების მოძიებაში. მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლთან

ერთობლივი მუშაობის შედეგად განსაზღვრული გვაქვს სოფლის პრიორიტეტული საჭიროებები, რომელიც სოფლის ინფრასტრუქტურული ობიექტების კეთილმოწყობას ეხება. ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი წვლილი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და პირადი პრობლემების მოგვარების საკითხებში.

აქტიურად ვიყავი ჩართული ვაქირში გეოგრაფიული ობიექტების, ქუჩების სახელდების საკითხებზე მომუშავე დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. სამუშაო ჯგუფის მიერ დისკუსიის რეჟიმში განხილულ და შემუშავებულ იქნა ქუჩების სახელდების პროექტი. რომელიც განსახილველად გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიას გადაეგზავნა. კომისიის სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა სოფელ ვაქირის ქუჩების სახელდება, თანდართული მისამართების რეესტრისა და დამისამართებელი ორთორუქის შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდში მქონდა ინდივიდუალური შეხვედრები მოსახლეობასთან . ჩემთვის მნიშვნელოვანია ვიცოდე, რას ფიქრობს ამომრჩეველი, რა შეხედულებები აქვთ ამა თუ იმ საკითხზე. არც თუ იშვიათად თვითონ მივსულვარ მოქალაქეებთან სახლში, თუ ამის საჭიროება იყო, ან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ჩემამდე მოსვლა არ შეეძლოთ.

მოვისმინე მათი პრობლემური და პრიორიტეტული საკითხები, რაც ძირითადად შეეხება: ჯანდაცვის საკითხებს, საუბნო და სასოფლო-სამეურნეო სავარგულამდე მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, სასმელი წყლის სისტემის მოწყობას, სავარგულებში სადრენაჟე სარწყავი არხების დამონტაჟებას, შიდა საუბნო გზების მოასფალტებასა და გარეგანათების მოწყობას.

ჩემს საქმიანობაში ძალზედ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების ერთიანობის პრინციპი, რომელიც გულისხმობს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოთა ერთიან ორგანიზმად არსებობას, რაც დღემდე შენარჩუნებულია საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიას შორის, საკრებულოს ყოველთვის ჰქონდა კოლეგიალურ თანამშრომლობაზე დამყარებული საქმიანობა, მინდა გითხრათ, რომ აქტიურად ვთანამშრომლობ, როგორც მუნიციპალიტეტის მერთან, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებთან.

ადგილობრივ თვითმმართველობაში მთავარი საზრუნავი არის და ყოველთვის იქნება მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა. მოკლედ გეტყვით სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულ

სოციალური დახმარების კომისიაში ჩემი საქმიანობის შესახებ. განსაკუთრებული ყურადღებით ვეკიდებით სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობას და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების პროგრამისა და მისი გაცემის წესის შესაბამისად ვუწევთ დახმარებას.

კომისია საშუალებას მაძლევს, ვიყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პროცესის თანამონაწილე. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა მერიაში არსებული სოციალური დახმარების კომისიის- 46 სხდომა , ვესწრებოდი 43-ს.

სოციალური დახმარების გაცემის პროგრამით სოფ. ვაქირში ისარგებლა 155 მოქალაქემ და მასზე დაიხარჯა 45 275 ლარი.

კერძოდ:

სამედიცინო დახმარების მუხლი (51 ბენეფიციარი) -28 305ლარი;

შშმ პირთა სოციალური დაცვა (35 ბენეფიციარი) -6 620ლარი;

ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა (9 ბენეფიციარი) -1800 ლარი;

განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ერთჯერადი სოც. დახმარება (53 ბენეფიციარი)-6780 ლარი;

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის მუხლიდან-(4 ბენეფიციარი) -700ლარი;

მარტოხელა და მარჩენალდაკარგული მშობლის სოციალური დაცვა (1ბენეფიციარი) - 200 ლარი;

ხანძრებისა და სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალისათვის ოჯახების დახმარება

(2 ბენეფიციარი) 970ლარი;

ჩართული ვარ მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დევეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე ჯგუფების ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფში, რომელის დანიშნულებაა მუნიციპალიტეტში სოციალური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის ხელშეწყობისთვის სამიზნე ჯგუფის ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების შესწავლისა და გამოვლენის მიზნით საჭიროებათა კვლევის ჩატარება.

რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებისა და ბავშვიან ოჯახებზე უკეთ მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება. კვლევა ჩატარდა 14 ადმინისტრაციულ ერთეულში გამოიკითხა 61 ოჯახი. შეირჩა ხუთი სამიზნე ჯგუფი: შშმ ბავშვიანი ოჯახები, სოციალურად დაუცველი ბავშვიანი ოჯახები, მრავალშვილიანი გაჭირვებული ბავშვიანი ოჯახები, მარჩენალდაკარგული გაჭირვებული ბავშვიანი ოჯახები, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვიანი ოჯახები (რომლებიც არ იღებენ სოციალურ შემწეობა). მონაწილეობას ვიღებ ახალი მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) თანამშრომლობით ჩართულია პროექტში „პარტნიორობა მუნიციპალური სოციალური პოლიტიკისთვის“, რომლის მიზანია მონაწილეობითი დაგეგმვით მუნიციპალური სოციალური პროგრამების შემუშავება. აქტიურად ვმონაწილეობ მრავალ-აქტორული სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, აღნიშნული სამუშაო ჯგუფი, მერიის, საკრებულოს, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მომსახურებით მოსარგებლეებისგან შედგება. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა მხარეების ჩართულობით შეიქმნება ახალი სოციალური პროგრამა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრებზე მოხდა მიზნობრივ ჯგუფების საჭიროებების განსაზღვრა, კონტექსტის ანალიზი და ამჟამად ვიხილავთ პროგრამის შერჩევის საკითხებს, რომელიც აისახება 2024 წლის მუნიციპალურ სოციალურ პროგრამაში.

ვარ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრი, საბჭო სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს შშმ პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით. სიღნაღის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებიც ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ საკუთარი უფლებების სათანადო რეალიზებას. შშმ პირებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემად რჩება ხელმისაწვდომობა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან სერვისებზე- როგორცაა პერსონალური ასისტენტის სერვისი. იქიდან გამომდინარე, რომ პერსონალური ასისტენტის სერვისი საქართველოში სიახლეა და მისი პილოტირება ჯერ მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს, დღის წესრიგში დადგა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების კვლევა.

ორგანიზაცია „ქედელის“ მიერ პროექტის „დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობების გაძლიერება სიღნაღის მუნიციპალიტეტში“ ფარგლებში, 2023 წლის მაისი-ივლისის პერიოდში განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების საჭიროებების იდენტიფიცირება პირისპირ გამოკითხვის პრინციპით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მერის წარმომადგენელთან ერთად

ვთანამშრომლობდი სიღნაღის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირ „ქედელთან“, მომზადდა შესაბამისი კვლევის ანგარიში და რეკომენდაციები, რომელიც მუნიციპალიტეტს გამოადგება პერსონალური ასისტენტის პროგრამის შემუშავებისათვის.

8 სექტემბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე გაეროს სპეციალური მომხსენებელი, ჯერარდ ქვინი ესტუმრა, შეხვედრას თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ვესწრებოდი. მომხსენებელმა ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის პროცესში თვითმმართველობის როლის მნიშვნელობასა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის აღსრულებაზე გაამახვილა. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, რომლის შედეგად რაპორტის სახით უახლოეს ორ თვეში წარედგინება მუნიციპალიტეტს.

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საბჭოს და ამ მიმართულებით ჩემს მუშაობას. ვარ სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საბჭო მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გენდერული პოლიტიკის გაძლიერების მიმართულებით. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს ღონისძიებები გენდერული თანასწორობის ხელშესაწყობად, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მიზნით. ქალთა მიმართ ძალადობის კამპანიის ფარგლებში 2022 წ 25 ნოემბრიდან გენდერული თანასწორობის საბჭომ მუნიციპალიტეტის 14 ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა. შეხვედრების მიზანი იყო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფენომენის გაცნობა, სამართლებრივი მექანიზმებისა და სახელმწიფო სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება. საინფორმაციო შეხვედრები, რომლებმაც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი მოიცვა 10 დეკემბერს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდა. როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე აქტიურად ვიყავი ჩართული სიღნაღის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის 2023 -2024 წ სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავების საქმეში, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.



რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, რომელიც საანგარიშო პერიოდში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მიმდინარეობს, სოფელ ვაქირში წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი დასასრულს უახლოვდება. პროექტის ფარგლებში წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ახალი სისტემები, ქსელები, ჭაბურღილები, საქლორატორო და რეზერვუარები მოეწყო. მისი დასრულების შემდეგ, მოსახლეობა, ახალი სისტემით, მაღალი ხარისხის წყალს 24 საათის განმავლობაში მიიღებს.

პროექტს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ახორციელებს.

სოფ. ვაქირში რეგიონული განვითარების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს გარდამავალი საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაო „ჯანაანთ“ უბანში. პროექტით გათვალისწინებულია 851 გრძივი მეტრი ასფალტობეტონი გზის მოწყობა, რომლის ღირებულება შეადგენს 582 981 ლ.

სოფ. ვაქირში მიმდინარეობს დავითაანების უბნის ს/გზის რეაბილიტაცია .(981210) ლარი. 860 მ.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში სოფელ ვაქირში დაგეგმილია გარე განათების მოწყობის პროექტი.

როგორც სოფლის მაჟორიტარისათვის მნიშვნელოვანია ყველა ის პრობლემა თუ გამოწვევა, რომლის წინაშეც ჩემი სოფელი დგას. არ დავიშურებ ძალისხმევას, რათა შევძლო დასახული ამოცანების განხორციელება და იმ მიზნების მიღწევა რაც ჩვენს მოქალაქეებს ცხოვრების უკეთესი პირობებს შეუქმნის. მიმაჩნია, რომ განვლილ საანგარიშო პერიოდში დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით უფრო აქტიური და ნაყოფიერი გახდება ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის შემდგომი საქმიანობა. მე აქტიურად გავაგრძელებ მოსახლეობასთან კომუნიკაციას .

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემი გუნდის ყველა წევრს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში ვგრძნობ. მჯერა, რომ ყველა ერთად შევძლებთ, ჩვენი წვლილის შეტანას სიღნაღის მუნიციპალიტეტის წინსვლასა და კეთილდღეობაში.

ნანა ნანობაშვილი

